საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/53 „11“ ივნისი 2014 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

1. „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-20 მუხლის მე-4-მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. თბილისის საქალაქო სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 88 მოსამართლით.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სპეციალიზებულ სასამართლო კოლეგიებში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს:

ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში - 31 მოსამართლით;

ბ) სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში - 33 მოსამართლი;

გ) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში - 24 მოსამართლით.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი